დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ კოლეჯის „მოდუსი" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა"

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი
წევრი: ნიკა ჯაფიაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი ,,მოდუსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 216350829

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობით

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

აღნიშნულ პროგრამაზე მიღება 2022 წელს გამოცხადდება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
,,მეხილეობა”	30	-	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ ,,განათლების ხარისხის განვითარების ერვონული ცენტრის“(შემდგომში ცენტრი) 2022 წლის 7 ივნისის N 608213 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, სსიპ - კოლეჯში "მოდუსი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მეხილეობის" (რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით, დაევალა ვიზიტის განხორციელება (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე).

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2022 წლის 15 ივნისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯში ,,მოდუსი“ (მის: მარნეულის მუნიციპალიტეტი - იაღლუჯის დასახლება). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორსა და ადმინისტრაციას და შესასწავლ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მეხილეობა“ ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისია“ რადგან 2.2 კომპონენტი სტანდარტის მოთხოვნებთან შეფასდა როგორც- ,,მეტწილად შესაბამისია“ .შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით დაინიშნა მონიტორინიგი

მიმდინარე წარმოების (მონიტორინგის) ფარგლებში, ექსპერტთა მიერ 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც- ,,სრულად შესაბამისია“. აქედან გამომდინარე მეორე სტანდარტი არის ,,სრულ შესაბამისობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულებაში (ქ. რუსთავის ლოკაცია) თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და მსმენელების ფოტოები, რომლებსაც თან ახლავს მათი წარმატების ისტორიები. თითოული მათგანი აღწერს თავის გამოცდილებასა და მიღწევებს და მოუწოდებს დაინტერესებულ პირებს, მიიღონ პროფესიული განათლება. აღნიშნული ემსახურება როგორც სტუდენტთა მოტივაციის ამაღლებას, ასევე პროფესიული განათლებისა და ცალკეული პროფესიული პროგრამების პოპულარიცაზიას.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

წინა ვიზიტისას ექპერტებმა დააფიქსირეს შესაბამისობის რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ვადებში პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერილური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას.

მიმდინარე ვიზიტისას გადამოწმდა მატერილური რესურსების არსებობა როგორც მატერიულურად, ასევე მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შესყიდვები, მიღება- ჩაბარების აქტები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	2021 წლი 31 მაისის ბრძანება N128 ცვლილება შესულია 2022 წლის 24 მაისი N137 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც მოცემულია, რომ კოლეჯი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს პროგრამის ხანგძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა ტევადობის და მასწავლებლების რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამაზე სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობაა 30 პროფესიული სტუდენტი (30-ინტეგრირებული). დაწესებულება გეგმავს სასწავლო პროცესი განახორციელოს ორ ცვლაში (15 – 15) პროგრამის განხორციელების ადგილია მარნეულის მუნიციპალიტეტი იაღლურჯის დასახლება.

,,მეხილეობის“ პროგრამისათვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს ერთი B, ერთი A/C გარემო, C გარემო (სათბური) ხოლო ინტეგრირებული მიდგომით განხორციელების შემთხვევაში აღნიშნულ გარემოებს ემატება ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისათვის.

პროგრამისათვის განსაზღვრულ A/C გარემოში მოწყობილია სამუშაო სივრცე 15 პროფესიული სტუდენტისთვის (სამუშაო მაგიდები,სკამები) მასწავლებლის სამუშაო ადგილი, კომპიუტერი, პრინტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსები და მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის ბაზაზე არსებული სათბური, რომელიც გათვალისწინებულია მეხილეობისა და მებოსტნეობის პროფესიული პროგრამებისათვის და სრულად აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიულური რესურებით.

დაწესებულებას გააჩნია ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით.

პროგრამისთვის განსაზღვრული B გარემო აღჭურვილია საჭირო ინვენტარით - პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდები, სკამები, დაფა და საჭირო ტექნიკური მოწყობილობებით პრინტერი, პროექტორი და შესაბამისი მახასიათებლების მქონე პერსონალური კომპიუტერი (15+1 ერთეული).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტებთან :ი.მ ნესტან ბოლქვაძე; ი.მ ციცინო ბოლქვაძე; ი.მ ხათუნდა ბოლქვაძე. აღნიშნული ითვალისწინებს გაცნობითი ხასიათის სასწავლო ექსკურსიები.
ხოლო შპს მარნეული აგროსა და ფ.პ ალექსანდრე ვაშაკიძესთან გაფორმებული ხელშეკრულების პირველ პუნქტში, საგანში, მოცემულია იმ პროფესიული მოდულების ჩამონათვალი, რომლებიც განხორციელდება აღნიშნულ პრაქტიკის ობიექტზე. მისაღები სტუდენტთა რაოდენობა დაზუსტებულია შეთანხმებით. მემორანდუმს დანართის სახით ახლავს მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომელიც გამოყენებული იქნება სწავლების პროცესში. ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა ფ.პ ალექსანდრე ვაშაკიძის ხეხილსანერგე მეურეობაში. ტერიტორია განლაგებულია 7 ჰექტარზე. ადგილზე დათვალიერდა მატერიულური რესურსები, ხეხილისა და კეკროვანი კულტურების პლანტაციები.
აღსანიშნავია, რომ კოლეჯთან თანამშრომლობს შპს ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“ და კოლეჯსა და ავტოპარკს შორის 2021 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირება პრაქტიკის ობიექტებზე.

დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიული პროგრამის ,,მეხილეობა“ განხორციელებაში ჩართულია 20 (ოცი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 7 (შვიდი) ზოგადი მოდულების, 8 (რვა) ინტეგრირებული ზოგადი მოდულების და 5 (ხუთი) დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია. შესაბამისად მათი რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებამ წარმოადგინა სავარუდო დატვირთვისფორმები, რომელის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია წინარე შრომის ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ მოდულებს ახორციელებს 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, რათა ერთ-ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი და სხვა, საფრთხე არ შეექმნას პროგრამის უწყვეტად განხორციელებას.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები/ სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. მათ შორის, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. დოკუმენტაციის ანალიზით და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. პროგრამის ხელმძღვანელია დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი. აქვს შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დოკუმენტაციით. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო პროგრამის შემუშავების ეტაპზე. ის იცნობს თავის ფუნქცია მოვალეობებს.

5. კოლეჯის მარნეულის ლოკაციაზე არის სამკითხველო ოთახი, სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, საგანმანათლებლო რესურსის პროფესიულ სტუდენტებზე მიწოდებას უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირი (სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი) კოლეჯის ვებ. გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომლით სარგებლობის უფლება აქვს კოლეჯის ყველა სტუდენტს, მასწავლებელსა და პერსონალს.
6. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, რაც ითვალისწინებს დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სსსმ პირთათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. რეგულაცია ითვალისწინებს ისგ-ს შემუშავების წესსა და პროცედურას და საჭიროების შემთხვევაში რესურსების ადაპტირებას, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ცვლილებას და სხვ. ასევე, ისგ-ს შემუშავების პროცესში სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობას. დაწესებულებას მარნეულის ლოკაცია ჰყავს ინკლუზიური განათლების ასისტენტი, რომელიც დაეხმარება სსსმ და შშმ სტუდენტებს, სრულფასოვნად ჩაერთონ სასწავლო პროცესში.

   სსსმ ან/ და შშმ პირებს საჭიროების შემთხვევაში წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული და მორგებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტით, პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 5 პროფესიულ სტუდენტს, 12 პროფესიული სტუდენტიდან გამომდინარე, დათვლილია მიღებული შემოსავლები და ხარჯები. შემოსავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსებაა, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება კომუნალური და სხვა ხარჯი აქედან გამომდინარე დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მეხილეობა“ (2021 წლი 31 მაისის ბრძანება N128. უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 24 მაისი N137 ბრძანებით;
- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ✓ დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ;
- ✓ დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის მატერიალური რესურსების შესახებ;
- ✓ სსიპ კოლეჯს ,,მოდუსი“ და შპს ,,მარნეული აგრო“ - ს შორის გაფორმებული 2021 წლის 20 აპრილის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და 2022 წლის 14 იანვრის შეთანხმება;
- ✓ სსიპ კოლეჯს ,,მოდუსი“ და ფ/პ ალექსანდრე ვაშაკიძეს შორის გაფორმებული 2021 წლის 10 მარტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და 2022 წლის 14 იანვრის შეთანხმება;
- ✓ მემორანდუმი პარტნიორ ორგანიზაციებთან: (ი.მ ნესტან ბოლქვაძე; ი.მ ციცინო ბოლქვაძე; ი.მ ხათუნდა ბოლქვაძე);
- ✓ კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ✓ მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შესყიდვის ხელშეკრულებები და მღება - ჩაბარების აქტები);
- ✓ ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსის შემოწმების შედეგი;
- ✓ სსიპ კოლეჯს ,,მოდუსი“ და შპს ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკს“ შორის გაფორმებული მემორანდუმი (2021 წლის 28 დეკემბერი)
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

✓ დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

დანართი 1
ვიზიტის დღის წესრიგი

04.07.2022წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: